# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება №42

20~~9~~20 წ. "19" 03

ქ.თბილისი

**შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე**

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში აკრედიტაციის დებულება) $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ამავე დებულების $27^6$ მუხლის მე-4 პუნქტისა და $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სახეობაზე კენჭისყრის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო".

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის შემთხვევაში:

თავმჯდომარე

მდივანი

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 2 სექტემბერს შპს სასწავლო უნივერტეტმა, გეომედმა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №581 (ცენტრში რეგისტრაციის №-1122942) სააკრედიტაციო განაცხადი საგანმანათლებლო „დიპლომირებული მედიკოსის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვისპროგრამის აკრედიტაციისათვის.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 27 სექტემბრის №903 ბრძანების საფუძველზე, შპს სასწავლო უნივერტეტის გეომედი, ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 იანვრის №-22928 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 29-30 იანვარს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს სასწავლო უნივერტეტში გეომედში, ხოლო 2020 წლის 9 მარტს წარმოდგენილ იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | ✓ | | |
| 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | ✓ | |
| 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

თავმჯდომარე

მდივანი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | ✓ | | |
| 5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | ✓ | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 19 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

2.5 საბჭომ მიიჩნია, რომ სილაბუსები ნამდვილად საჭიროებს დარგობრივი კომპეტენციების უფრო მეტად გააზრებას და შედეგების დაზუსტებას. სილაბუსების გარკვეულ ნაწილში შინაარსსა და სილაბუსით გათვალისწინებულ შედეგებს შორის კავშირი არ იკვეთება. (მაგალითად, პირველ სემესტრში, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ბლოკში, სადაც გაერთიანებულია რამდენიმე ბიოსამედიცინო საგანი, იმ შინაარსით, რაც ამ სილაბუსებშია, პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევის შედეგი ვერ მიიღწევა).

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სახეობაზე კენჭისყრის შედეგი არცერთი მომხრე, ამავე დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის კენჭისყრის შედეგი - არცერთი მომხრე $27^6$ მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს, ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ „დიპლომირებული მედიკოსის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

2. ცნობილ იქნას „დიპლომირებული მედიკოსის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 19 მარტის №-10 სხდომის ოქმის № 05 ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

თავმჯდომარე

მდივანი

4. საბჭოს გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაამატა შემდეგი მოსაზრებები, რეკომენდაციები:

ა) სილაბუსები საჭიროებს დარგობრივი კომპეტენციების უფრო მეტად გააზრებას და შედეგების დაზუსტებას, მაგალითად, პირველ სემესტრში გათვალისწინებული სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ბლოკი, თავისი შინაარსით ვერ უზრუნველყოფს შედეგს - პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა;

ბ) არ გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის - კო-სუპერვაიზორის და ორი კონსულტანტის მიერ პროგრამის მხარდაჭერა ან/და პროგრამის განხორციელება-განვითარებაში ჩართულობა;

გ) სილაბუსების ნაწილს აკლია დეტალიზება, მაგალითად, კურსს ,,სამეცნიერო პრაქტიკული მუშაობა" უნდა გააჩნდეს დაშვების წინაპირობები - სწორედ ის კომპონენტები, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამა საკმაო მოცულობით ისედაც ითვალისწინებს: მაგ. აკადემიური წერა, სამეცნიერო კვლევის მეთოდები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა. გარდა ამისა, კვლევით კომპონენტში, სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, საჭიროა უფრო გამჭვირვალე და კონკრეტული ინფორმაცია ჩასატარებელი კვლევის სახეების, განხორციელების დროის, კვლევის პრაქტიკული კომპონენტის ზედამხედველის/სუპერვაიზორის არჩევის დროისა და კრიტერიუმების, შესასრულებელი ნაშრომის მოთხოვნების, კრიტერიუმების და ა.შ. შესახებ. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია სილაბუსის გარეთ, დამატებითი სარეგულაციო დოკუმენტით იყოს მიწოდებული.

დ) სასწავლო კურსი „პრაქტიკა კლინიკაში" ბუნდოვანია რიგი საკითხები: რომელ ობიექტებზეა ხელმისაწვდომი პრაქტიკის განხორციელება, რომელი აკადემიური/მოწვეული პერსონალია ჩართული კურსის განხორციელებაში, რა მინიმალური მოთხოვნა არსებობს სტუდენტისთვის (შინაარსობრივი სახის) და სხვ;

ე) პროგრით გათვალისწინებულია კლინიკური ასპექტის შემოტანა პროგრამის განხორციელების ადრეული ეტაპიდანვე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, არ არის ნათელი და კონკრეტული პირველკურსელთა პრაქტიკის ობიექტზე მორიგეობის საკითხი - არ იკვეთება კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა არის სტუდენტთა მორიგეობის მიზანი, ვინ ზედამხედველობს სტუდენტს, შეფასების რა მექანიზმები არსებობს, რა ევალება სტუდენტს კლინიკაში, სადაც აღნიშნული აქტივობაა დაგეგმილი. არ იკვეთება უნივერსიტეტში შესაბამისი ინფორმაციის არსებობისა და ასევე, სტუდენტებისა და კლინიკების პერსონალისთვის ამ ინფორმაციის მიწოდების - პერსონალის მომზადების საკითხი.

ვ) საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია სწავლა-სწავლებისა და შეფასების ბევრი თანამედროვე მეთოდი (მაგ, Mini CEX, OSCE, სხვ). თუმცა, პროგრამის ყველა კლინიკურ საგანში საკმაოდ დიდი ,,დოზით" გათვალისწინებული ეს მეთოდები მოითხოვს დიდ ძალისხმევას განხორციელებისას, ამავე დროს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) სპეციალურ გადამზადებას, რომელთან დაკავშირებითაც, ზეპირი მოსმენისას არ გამოიკვეთა დაწესებულების მხრიდან პასუხები - როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი, რა სახის მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდა ამ მიმართულებით, ტრენინგის ჩატარების ფორმატი, სხვ. რაც იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსების სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები გადასახედია.

ზ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი შედეგი - „პროფესიონალიზმი" არის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუმცა ვერ ხერხდება ამ შედეგის შეფასების მეთოდების, კრიტერიუმების იდენტიფიცირება. ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამის

თავმჯდომარე

მდივანი

სხვა შედეგების (მაგ, როგორიცაა, პაციენტის გასინჯვა, პროცედურების ჩატარება, ანამნეზის შეკრება, კოლეგებთან კომუნიკაცია და ა.შ.) შეფასების ნიშნულების საკითხი.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს- 2020 წლის 2 აპრილს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის $24^1$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

*დანართი №1*

| № | ინფორმიციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | დიპლომირებული მედიკოსი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2018 წლის 12 სექტემბერი, №117 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე[5] | მეშვიდე დონე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 - მედიცინა |
| 12 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 0912 |
| 13 | სწავლების ენა | ქართული |
| 14 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |
| 15 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო, 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6. |
| 16 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | |
| 17 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2020 წლის 2 აპრილი |
| 18 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | |
| 19 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებულიან/დახელახალი აკრედიტაცია;

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით

[6] მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი